აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 1 | 9 თებერვალი 2021 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარული წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ (09-01-08/4 21.01.2021 წელი)

დასახელება

უმაღლესი საბჭოს წევრები: ტიტე არობიძე, ცოტნე ანანიძე, ფრიდონ ფუტკარაძე	*უმაღლესი საბჭოს წევრები: ტიტე არობიძე, ცოტნე ანანიძე, ფრიდონ ფუტკარაძე*
ავტორი	ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

21.01.2021 წელი	წამყვანი კომიტეტი -16.02.2021 წელი სხვა კომიტეტები -15.02.2021 წელი	რიგგარეშე სესია
უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის თარიღი	კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — დავით გაბაიძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

28/01/2021
N 86

86-09-02-11-3-202101281540

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტის თაობაზე (09-01-08/4, 21.01.21 წ. ინიციატორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: ტიტე არაშიძე, ცოტნე ანანიძე და ფრიდონ ფუტკარაძე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილული იქნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი.

განხილვის შედეგად, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის“ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე კანონმდებლობით დადგენილი წესით დებს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ დადგენილების წარმოდგენილი სახით მიღების შემთხვევაში დადგენილების პროექტის მე-3 პუნქტი წინააღმდეგობაში მოვა ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის“ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტთან. გარდა ამისა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ბ“ ქვეპუნქტი წინააღმდეგობაში მოდის დადგენილების პროექტის მე-3 პუნქტთან, კერძოდ: განმარტებითი

ბარათის მიხედვით „უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარმომადგენელთან ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას დებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“, ხოლო დადგენილების პროექტის მე-3 პუნქტის მიხედვით „უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარმომადგენელს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე ნიშნავს და ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.“

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიმართ სხვა შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის მე-2 და 115-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოვადგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავთ თხოვნით მიიღოს გადაწყვეტილება წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე სესიებს შორის პერიოდში ვადების დინების გაგრძელებებისა და მისი უმაღლესი საბჭოს 2021 წლის საგაზაფხულო სესიამდე განხილვის თაობაზე.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს უმაღლესი საბჭოს წევრი ტიტე არუშიძე.

გთხოვთ, დადგენილების პროექტს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: -4- ფურცელი

09-01-08/4
21 : 01 2021
5 ფურცელი

პატივისცემით,

ტიტე არუშიძე

ცოტნე ანანიძე

ფრიდონ ფუტკარაძე

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებს (შემდგომში – უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრი) მოქალაქეებთან მუშაობის ორგანიზების, შესაბამის საჯარო დაწესებულებებთან კომუნიკაციისა და უფლებამოსილების ფარგლებში ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიზნით უფლება აქვთ ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენლები. უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლის შრომის ანაზღაურებისათვის უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტიდან ყოველთვიურად გამოიყოფა ამ დადგენილების მე-5 პუნქტით განსაზღვრული თანხა.

2. უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ №28 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარდგინების საფუძველზე ადმინისტრაციული ხელშეკრულებით მიიღება არაუმეტეს 2 წარმომადგენელი, №29 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარდგინების საფუძველზე ადმინისტრაციული ხელშეკრულებით მიიღება არაუმეტეს 1 წარმომადგენელი, ხოლო №30 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარდგინების საფუძველზე ადმინისტრაციული ხელშეკრულებით მიიღება არაუმეტეს 4 წარმომადგენელი.

3. უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარმომადგენელს, არაუმეტეს უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების ვადით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე ნიშნავს და ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

4. უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლების სამოქმედო ტერიტორია მოიცავს შემდეგ მუნიციპალიტეტებს:

ა) №28 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი - ბათუმის მუნიციპალიტეტი;

ბ) №29 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი - ქობულეთის მუნიციპალიტეტი და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მახინჯაურის ადმინისტრაციული ერთეული;

გ) №30 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი - ხელვაჩაურის (მახინჯაურის ადმინისტრაციული ერთეულის გარდა) ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტები.

5. უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლების შრომის ანაზღაურება განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) №28 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის თითოეულ წარმომადგენელს არაუმეტეს 1200 ლარი;

ბ) №29 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარმომადგენელს არაუმეტეს 1200 ლარი;

გ) №30 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის თითოეულ წარმომადგენელს – არაუმეტეს 750 ლარი.

6. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრის წარმომადგენელი ვალდებულია უმაღლესი საბჭოს აპარატს წელიწადში ერთხელ წარუდგინოს ანგარიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

7. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2019 წლის 4 აპრილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს №87 დადგენილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www. matsne.gov.ge), 08.04.2019), სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010190020.31.056.016060).

8. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

ბათუმი,
2021 წლის
№

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“

ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოქალაქეებთან მუშაობის ორგანიზების, შესაბამის საჯარო დაწესებულებებთან კომუნიკაციისა და უფლებამოსილების ფარგლებში ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიზნით, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ უმაღლესი საბჭოს წევრებს უფლება აქვთ ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენლები. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით კი უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის ღონისძიებებისა და უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლებთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს დადგენილებით.

ყოველივე ზწემოაღნიშნულიდან გამომდინარე დადგენილების პროექტის მიღების მიზეზია უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის ღონისძიებებისა და უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლებთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი რეგლამენტაცია.

ბ) დადგენილების პროექტის არსი

დადგენილების პროექტი შედგება 8 პუნქტისაგან.

პირველი პუნქტით განსაზღვრულია, რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებს მოქალაქეებთან მუშაობის ორგანიზების, შესაბამის საჯარო დაწესებულებებთან კომუნიკაციისა და უფლებამოსილების ფარგლებში ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიზნით უფლება აქვთ ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენლები. უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლის შრომის ანაზღაურებისათვის უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტიდან ყოველთვიურად გამოიყოფა დადგენილების მე-5 პუნქტით განსაზღვრული თანხა.

მე-2 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ №28 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარდგინების საფუძველზე ადმინისტრაციული ხელშეკრულებით მიიღება არაუმეტეს 2 წარმომადგენელი, №29 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარდგინების საფუძველზე ადმინისტრაციული ხელშეკრულებით მიიღება არაუმეტეს 1 წარმომადგენელი, ხოლო №30 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარდგინების საფუძველზე მიიღება არაუმეტეს 4 წარმომადგენელი.

მე-3 პუნქტი ადგენს, რომ უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარმომადგენელთან, არაუმეტეს უმაღლესი საბჭოს შესაბამისი მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების ვადით, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას დებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მე-4 პუნქტით განსაზღვრულია უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლების სამოქმედო ტერიტორია და იგი მოიცავს შემდეგ მუნიციპალიტეტებს:

ა) №28 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი - ბათუმის მუნიციპალიტეტი;

ბ) №29 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი - ქობულეთის მუნიციპალიტეტი და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მახინჯაურის ადმინისტრაციული ერთეული;

გ) №30 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი - ხელვაჩაურის (მახინჯაურის ადმინისტრაციული ერთეულის გარდა) ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტები.

მე-5 პუნქტში თანახმად, უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლების შრომის ანაზღაურება განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

ა) №28 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის თითოეულ წარმომადგენელს არაუმეტეს 1200 ლარი;

ბ) №29 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარმომადგენელს არაუმეტეს 1200 ლარი;

გ) №30 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის თითოეულ წარმომადგენელს – არაუმეტეს 750 ლარი.

მე-6 პუნქტი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების წარმომადგენლებს ავალდებულებს, რომ უმაღლესი საბჭოს აპარატს წელიწადში ერთხელ წარუდგინონ ანგარიში მათ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

მე-7 პუნქტის თანახმად, დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ცხადდება 2019 წლის 4 აპრილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს №87 დადგენილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www. matsne.gov.ge), 08.04.2019), სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010190020.31.056.016060).

მე-8 პუნქტით, დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება:

დადგენილების პროექტით უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლებისათვის შრომის ანაზღაურების სახით ყოველთვიურად განსაზღვრულია 6600 ლარი. აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია უმაღლესი საბჭოს 2021 წლის ბიუჯეტით.

დ) დადგენილების პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: ტიტე არაშიძე, ცოტნე ანანიძე და ფრიდონ ფუტკარაძე.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: ტიტე არაშიძე, ცოტნე ანანიძე და ფრიდონ ფუტკარაძე.